საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3272/01
04/04/2022

3272-01-2-202204041051

შპს „მეგა ჰოლდინგს“

მის: ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ზაჰესი

ელ.ფოსტა: info@tbilcement.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №5114 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნიაბში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოსა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგებისა და მზა პროდუქციის საწარმოს ტერიტორიიდან გატანის (მათ შორის მისასვლელი გზების, შესასრულებელი სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობისა და გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების) შესახებ;
- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული ტუმბოების წარმადობის შესახებ ინფორმაცია;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მდ. მტკვრიდან აღებული წყლის აკუმულირება ხდება საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ „ბასეინში“, თუმცა დაზუსტებული არ არის აღნიშნული რეზერვუარის მოცულობა;
- დოკუმენტის თანახმად, ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული წყლის გაწმენდა ხორციელდება ორსაფეხურიანი სალექარი საშუალებით. დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული სალექარის ტექნიკური პარამეტრები;
- დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ უნდა იქნას გაანგარიშების მონაცემები ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ;
- წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია ხმაურის დონეების გაანგარიშებისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიღებული ხმაურის კოეფიციენტის შესახებ, ასევე „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების

შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან თავსებადობის საკითხი;

- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული ნავთობპროდუქტების საცავების სასუნთქი სარქველების ტექნიკური პარამეტრების შესახებ (სიმაღლე, დიამეტრი);
- ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ, 500 მეტრის რადიუსში, მდებარეობს შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპნიის“, შპს „ჯერმან ცემენტ ლტდს“, შპს „ევრაზია კაპიტალის“ და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზეც განთავსებულია ტექნოლოგიური დანადგარები. სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ არსებული საწარმოო ობიექტების ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაციას და კუმულაციური ზემოქმედების შეფასებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე